ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N02
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ.ადიგენი 9 მარტი 2020 **წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "ადიგენის კულტურის ცენტრი" (შემდგომში „დამკვეთი")წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაგრატ გავაშელის სახით, და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,სივრცეები"(შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ეკა ვეფხვაძეს სახით, ვხელმძღვანელობთ რა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:

ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის დამტკიცებული ა(ა)იპ „ადიგენის კულტურის ცენტრი"-ს ბიუჯეტის სახსრებით ახალი ამბების სააგენტოს მომსახურების შესყიდვა

1. რელიზების განთავსება - განუსაზღვრელი რაოდენობით (სივრცეების ვებ-გვერდზე -www.spnews.io);
2. ანონსები - განუსაზღვრელი რაოდენობით;
3. თვეში 2 ინტერვიუ/სტატიის მომზადება - განთავსება ყველა პლატფორმაზე.

CPV კოდი: 92400000).

მუხლი2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს2000(ორიათასი) ლარი.

2.2 ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 200(ორასი) ლარს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) ხარისხი:

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, გასაწევი მოსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ,,შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) მიწოდების ვადა და ადგილი:

4.1 მომსახურების გაწევა იწარმოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) მიღება -ჩაბარების წესი:

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხარეების მიერ სათანადოდ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა:

6.1ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

6.2ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგმიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის და მხარეების მიერ სათანადოდ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

7.1*შემსყიდველს უფლება აქვს:*

ა)განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე მომსახურების ნებისმიერ ეტაპზე:

7.2*შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3*მიმწოდებელს უფლება აქვს:*

ა)მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4 *მიმწოდებელი ვალდებულია:*

ა)დროულად და კეთილსინდისიერადმოახდინოს შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ)დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:

8.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

8.2. ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

8.3.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით;

8.4 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ღირებულება მიაღწევს მთლიანი ღირებულების 10%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.5 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა:

9.1არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ანუარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში , ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11.უფლებების გადაცემა:

11.1მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი:

12.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. დავის გადაწყვეტის წესი:

13.1 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეულიმაშინ მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

14.1შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის(მომსახურების) შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან და მოთხოვნებთან.

14.2შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული გაწეული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

14.3მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა გაწეული წუნდებული მომსახურების აღმოფხვრა.

14.4.კონტროლს განახორციელებს ***ნათია ჯელია*** - ა(ა)იპ „ადიგენის კულტურის ცენტრი"-ს საქმეთამმართველი .

მუხლი: 15. ინტერესთა კონფლიქტი:

15.1 საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან".

მუხლი 16. სხვა პირობები:

16.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

16.2. არც ერთ მხარეს არააქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთიმხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისიმიღების დღიდან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმისმიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16.4ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

17.1ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 18.მხარეთარეკვიზიტები:

,,შემსყიდველი"

ა(ა)იპ „ადიგენის კულტურის ცენტრი", მის: დ.ადიგენი, ჭავჭავაძის ქუჩა №2 საიდენტიფიკაციო ნომერი:№222729402,ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022.

ა(ა)იპ „ადიგენის კულტურის ცენტრი"-ს დირექტორი ბაგრატ გავაშელი

,,მიმწოდებელი"

შ.პ.ს „სივრცეები", მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, გაზაფხულის ქ.№15, ბ. 3 საიდენტიფიკაციო ნომერი: №ს/კ 405338692, საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში: № GE89TB7320836080100009.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ეკა ვეფხვაძე

,,შემსყიდველი"

ა(ა)იპ „ადიგენის კულტურის ცენტრი"-ს დირექტორი ბაგრატ გავაშელი

,,მიმწოდებელი"

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ეკა ვეფხვაძე